№ 274 ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲒᲐᲡᲐᲒᲘ 3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1919 Წ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ)

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. **ხელის მოწერის ფასი,** ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ოთხშაბათს, დეკემბრის 3, ვოლ. ლევიცკაიას, ი. ნასას, ზალიპსკის, ამირჯანის, ისეცკის, პოლიანოვის, დემიანენკოს, კურბატოვის და ეზროვის მონაწილეობით

ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲡᲙᲘ

ხუთშაბათს, დეკემბრის 4-ს „ტოსკა“ და ბალეტი. ჰარასკევს გიფანის ზღაპრები. შაბათს, ოპერა მუშებისთვის “ფაუსტი“. კვირას, დეკემბრის 7 ს, დილის ‘ჯამბაზები და ბალეტი. სალამოს „პიკის ქალი“. 194

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ | ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ | ᲡᲐᲥ. ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

ᲡᲐᲝᲙᲔᲠᲝ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ

ორშაბათს, 8 დეკემბერს მართავს ოპერას

„ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲖᲔ“

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ (ᲖᲣᲑ. ᲡᲐᲮᲚᲘ) — ᲛᲣᲡᲘᲙᲐ Დ. ᲐᲠᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

192 3—1

ᲯᲣᲚᲤᲐ-ᲑᲐᲥᲝᲡ რკინის გზის გამყვანი გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. დეკემბრის 15 ს დილის 10 საათზე გამგეობის ტეხნიკურ განყოფილების ბინაზე (ბაქო,ლალაევის ჰრ. ყოფილი სასტუმრო „გრანდ-ოტელი“)

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ფართო ლიანდაგის შპალების დამზადებაზე ᲓᲐ მიწოდებაზე.ვისაც კონკურენციაში მონაწილეობის მიღება სურს, ადრევე უნდა შეიტანოს გამგეობის კასაში საწინდრად 50000 მან. კონდიციების გაცნობა შეიძლება ტეხნიკურ განყოფილებაში დღის 12—2 საათამდე. 3—2 286

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს ბორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად, შემდეგი საკნების განსახილველად: 1. გამგეობის მოხსენებისა საზოგადოების საქმეების შესახებ. 2. 1920 წ. საექსპლოატაციო ხარჯთ აღრიცხვისა, 3 სარევიზიო წევრების არჩევისა. საზოგადო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—1 189

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისია ამით აცხადებს, რომ წიგნთსაცავისათვის

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲔᲑᲘ

რომელთაც უნდა იცოდნენ ქართულს გარდა ევროპის ენებიც და ამასთანავე უნდა ჰქონდეთ კარგი და გარკვეული ხელი. მსურველთ უნდა წარმოადგინონ თხოვნები დეკემბრის 10-მდე საბიბლიოთეკო კომისიის სახელობაზე, თხოვნა დაწერილი უნდა იყოს საკუთარის ხელით ქართულად და დართული უნდა ჰქონდეს წერის ნიმუშები სხვა ენებზე. პირობების გაგება შეიძლება უნივერსიტეტში წიგნთსაცავის კომისიის წევრებთან.

3—1 191 **სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისია.**

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ Ქ. ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ

კასტიუმი, რომელშიაც მქონდა შემდეგი ქაღალდები: 1. უვადო პასპორტი № 209 აღებული (ტობანიერ. საზ. ქუთ. მაზრა.) 2. ნდობის ქაღალდი მოცემული მიხეილ ბახტაძისგან. 3. სამხედრო სამსახურის განთავისუფლების ქაღალდი, 4. პატენტი საზღვარ გარედ ვაჭრობის 1 რაზრიად. აღებული ტფილისის ხაზინიდან. 5. მეტრიკული მოწმობა. 6. მოწმობა კეთილ საიმედო პიროვნების და სხვა ქაღალდები. მნახველს ვთხოვ კასტიუმი მან დაიტოვოს, ხოლო ქაღალდები კი გადმომცეს, რომლისთვისაც მივცემ კიდევ ჯილდოთ ათას მანეთს. მისამართი ქ. სამტრედია, სამუილ ს. ბახტაძეს. 289 1—1

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲨᲕᲘᲓᲡ ᲔᲥᲘᲛᲡ

ერთს—ქალაქის პირველი საავადმყოფოს ტერაპევტიულ განყოფილების უფროს ორდინატორად. ერთს—იმავე საავადმყოფოს საბენიო განყოფილების უფროს ორდინატორად; ერთს იმავე საავადმყოფოს რენტგენოლოგად. ორს სანიტარულ ექიმებად. ორს უბნის ექიმებად.

თხოვნები და curriculum vitae მიიღებიან ქალაქის მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში 7 დეკემბრამდის. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა.

193 1—1 **ქალაქის გამგეობა**

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

იუსტიციის მინისტრისა.

21 ნოემბერი, 1919 წ. № 227.

ჩაირიცხა სასამართლოს უწყებაში და იგზავნება: ლეჩხუმის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერობის კანდიდატი იასონ ვლადიმერის ძე აბაშიძე ამა წლის ნოემბრის 25 დან.

22 ნოემბერი, 1919 წ. № 278.

გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზე: ტფილისის მეორე უბნის გამომძიებლის თან. აღმ. მიხეილ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილი და 11 უბნის გამომძიებლის თან. აღმ. ანდრია ივანეს ძე პოპლავსკი ამა წლის ნოემბრის 25-დან.

22 ნოემბერი, 1919 წ. № 279.

ჩაირიცხა სასამართლოს უწყებაში და იგზავნება ყარაიაზის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად პეტროგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურს დამთავრებული გიორგი გიორგის ძე ილაშვილი ამა წლის ნოემბრის 25-დან.

26 ნოემბერი, 1919 წ. № 281.

თავისუფლება მიეცა: ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს გალაქტიონ აბესა ღონქაძეს ერთი თვის ვადით ამა წლის ნოემბრის 25-დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ.

გ. ჟორდანია.

დირექტორის თანამ. აღმასრ.

დ. წითლანაძე.

—

განათლების მინისტრისა.

24 ნოემბერი, 1919 წ. № 92.

დაინიშნა: ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი სიმონ ზაქარიას ძე ჭეიშვილი ბილანიშვილის სახელობის გიმნაზიის დირექტორად 1919 წლის 30 სექტემბრიდან.

განათლების მინისტრის ამხანაგი

ნ. ცინცაძე.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

24 ოქტომბერი, 1919 წ. № 23.

გადაყვანილია მთავარ საბაჟოში: ნატანების საბაჟოს გამგე მგალობლიშვილი უმცროს კონტროლიორად დროებით 20 ენკენისთვიდან ამა წლისა.

ლაგოდეხის საბაჟოში: სადახლოს საბაჟოს გამგე ზ. თუშაბრამიშვილი ამავე თანამდებობაზე 6 ოქტომბრიდან 1919 წ. თანახმად მისი თხოვნისა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი.**

მთავარ საბაჟოს გამგე **ბ. მიქაძე.**

13 ნოემბერი, 1919 წ. № 70.

დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა სავაჭრო განყოფილების რეგისტრატორი მარიამ გოგოხია ამა წლის 1 ნოემბრიდან.

14 ნოემბერი, 1919 წ. № 73.

დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან თანახმათ თავისი თხოვნისა სამრეწველო განყოფილების საქმის - მწარმოებლის თანაშემწე ბონავენტურა ალექსანდრეს ძე ფირალოვი ამა წლის 12 ნოემბრიდან.

№ 269.

დაინიშნოს სილნაღის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმფროს თანაშემწედ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე მჭედლიშვილი ამა წლის 8 ნოემბრიდან.

№ 270.

გამოირიცხოს თანამდებობიდან სილნაღის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ლევან ყაფლანის ძე ვაჩნაძე

დაინიშნოს სილნაღის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ სილნაღის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი გიორგი პეტრეს ძე ნაცვლიშვილი ორივენი ამა წლის 8 ნოემბრიდან.

15 ნოემბერი, 1919 წ. № 271.

დაინიშნა: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად პლატონ ექვთიმეს ძე თარგამაძე ამა წლის 20 ნოემბრიდან.

19 ნოემბერი, 1919 წ. № 273.

დათხოვნილია სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა საბიუჯეტო განყოფილების ბუჰალტერი ვლადიმერ გიორგის ძე გეგეჭკორი ამა წლის 6 ნოემბრიდან.

№ 274.

დათხოვნილ იქმნას თანახმათ თავისი თხოვნისა სრულიად სამსახურიდან სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი აკაკი სამსონის ძე თათრიშვილი ამა წლის 20 ნოემბრიდან.

№ 275.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან ერთის თვით უჯამაგიროთ საკრედიტო განყოფილების უფროსი ვასილი ბარნაბის ძე ლლონტი ამა წლის 15 ნოემბრიდან.

№ 276.

დაინიშნა დროებით საკრედიტო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად სახელმწიფო ბანკის კომისარი სვიმონ არხიპის ძე ჟორჟოლაძე ამა წლის 15 ნოემბრიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. ს. **ავალიანი.**

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

პაპის ლეგატის წერილი მთავრობის თავმჯდომარისადმი.

27 ნოემბრის თარიღით მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი წერილი მიიღო რომის პაპის ლეგატის ა. დელფუშესგან:

„მის აღმატებულებას ბ-ნ ნოე ჟორდანიას, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პრეზინდენტს.

ვსტოვებ რა ისეთ სტუმართ მოყვარე ქვეყანას, როგორიც არის საქართველო და ვბრუნდები რა რომში, ჩემი მისიის ანგარიშის ჩასაბარებლათ, ჩემს მოვალეობათ ვსთვლი მადლობა გამოგიცხადოთ იმ გულითად დახვედრისა და გრძნობიარე ყურადღებისთვის, რომლის საგანიც გავხდი მე საქართველოს მთავრობის მხრივ.

თქვენი მშვენიერი ქვეყანა ყოველი მიმართულებით თითქმის მოვიარე.

აღტაცებაში მოვყავდი მის ლამაზ ადგილებს, მდიდარ და არაჩვეულებრივ მრავალფეროვან მის ბუნებას.

ყველგან მცხოვრებნი საუკეთესოთ მხვდებოდენ; ყველგან ვგრძნობდი, თუ რა ძლიერი მამულიშვილური გრძნობითაა გამსჭვალული თქვენი ხალხი.

ჩემს მოვალეობათ ჩავითვლი რომის პაპს გადავსცე ყველა ის, რაც მე აქ ვიხილე და ვაცნობო ის ღრმა პატივისცემა და სიმპატიები, რომელსაც ფართეთ იჩენდენ აქ უწმიდეს მამისადმი.

ბატონო პრეზიდენტო!, დარწმუნებული იყავით, რომ წმიდა მამა უაღრესათ მეგობრულათაა განწყობილი საქართველოსა და მის ხალხისადმი და უუმხურვალეს ლოცვას სწირავს ღმერთს საქართველოს კეთილშობილ ზრახვათა და კანონიერ მისწრაფებათა განსახორციელებლათ.

ბატონო პრეზიდენტო! კეთილ ინებეთ ლოცვებთან ერთათ, რომელსაც მე ვწირავ უფალს თქვენთვის, მიიღოთ ღრმა პატივისცემის გრძნობა, რომლითაც მე ვშთები.

თქვენი აღმატებულების ერთგული მსახური სამოციქულო ვიზიტიორი ა. **დელფუშე.**

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

მობილიზაცია.

ეკატერინოვკიდან, ზუგდიდიდან, ახალციხიდან და სხ. ადგილებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებენ, რომ მობილიზაცია კარგად ჩატარდა.

წყალდიდობა სამტრედიაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიიდან დეპეშით აუწყებენ, რომ წყალი უკვე ჩადგა. რიონი, ცხენის წყალი და სხვა მომცრო მდინარეები თავის კალაპოტში დაბრუნდა.

წყალდიდობამ ქალაქს დიდი ზარალი მიაყენა. ზოგიერთ ქუჩაზე წყალი 1½ არშინზე იდგა. წაილეკა ბევრ ალაგას ლობე ყორე და წაიღო დიდძალი საქონელი.

გაძარცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებენ, რომ 27 ნოემბერს შუადღის 1 საათზე ტფილისიდან 20 ვერსის მანძილზე ძველ ბაქოს გზატკეცილზე იაგმლუჯის ქედზე უცნობი ბოროტმოქმედნი დაეცენ და გაძარცვეს რკინისგზელთა კომიტეტის კომისია, 3 კაცი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ გიაურ არხში ხსენებულ კომიტეტისთვის გა-

დაცემულ მამულის მიღება. სამიეს ტანისამოსი გახადეს და ნაშუადღევის 4 საათზე გაუშვეს.

მწყემსების დახოცვა.

სილნალის მაზრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებენ, რომ შირაქის ველზე ამ დღეებში მწყემსთუშებს თავს დაესხნ ს. ულუფლოს თათრები, რომლებმაც მოჰკლეს 2 მწყემსი, დაუჭრიათ 2 და გაუტაცნიათ 3000 სული ცხვარი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა, სასწრაფო ზომები მიიღონ და ყაჩაღებს მდევარი დაადევნონ.

ქ. ქუთაისის მასწავლებელთა გაფიცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქ. ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მიიღო 29 ნოემბრის თარიღით: „დღეს ქ. ქუთაისის ყველა ტიპის სასწავლებლებში მეკადინეობა შესწყდა, რადგან მასწავლებლებმა გაფიცვა გამოაცხადეს".

ადმინისტრაციის ინსპექტორის
თანაშემწე **მამფორია.**

ცნობილი ყაჩაღის დაპატიმრება.

1 დეკემბრის თარიღით დუშეთის მაზრის კომისარის დ. პარკაძისაგან შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„დღეს, ხალამოს 5 საათზე დავატუალეთ და ციხეში მოვთავსე დუშეთის მაზრაში ცნობილი ყაჩაღი შაქრო ლალიაშვილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ს. საგურამოში კორნეტ წერეთლის მკვლელობაში და სახელმწიფო გზაზე ავტომობილების და ფოსტის გაძარცვაში".

განათლების სამინისტროში.

სოხუმის სანატორიუმი.

განათლების სამინისტრომ დაავალა საქართველოს ხითელი ჯვრის სოხუმის განყოფილების წარმომადგენელს ქ. თავდგირიძეს, შეიმუშაოს დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა სოხუმის სანატორიუმის შესახებ. სამინისტროს განზრახული აქვს ამ სანატორიუმში მოათავსოს სახელმწიფოს ხარჯზე და სხვა უწყებაში მოსამსახურე დაავათყოფებული პირები, რომელთა შორის უპირატესობა მიეცემათ განათლების უწყებაში მყოფ მოსამსახურეებს.

საგალდებულო დადგენილება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული რესპუბლიკის საზღვრებში იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ.

1. აკრძალულია რესპუბლიკის საზღვრებში ტარება და შენახვა ცივ ლის მფრქვევ იარაღისა და ტყვია წამლისა, რომელიც როგორც ჩვენი აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ჯარების შეიარაღებლად იხმარება.

შენიშვნა: ჯარის შესაიარაღებლად ითვლება:

ა) ვინტოვკები 1891 წ. რუსული სახისა, სამხაზიანი, ბერდანები 4—2 ხაზიანები, გერმანული მაუზერები, ოსპალური მაუზერები, ავსტრიული მაინლიხერი, სტეერი, ამერიკული ვინჩესტერი, ფრანგული ლებელი, ინგლისურ-მექსიკანური და სხვ. ნაგანი ცეცხლის მფრქველი იარაღი რომელიც ჯარის შესაიარაღებლად იხმარება.

ბ) ნაგანის რევოლვერები, მაუზერის პისტოლეტები, პარაბელიუმი, კოლტი და ბრაუნინგი დიდი კალიბრისა და აგრეთვე ყველა რევოლვერი, რომელსაც, პისტოლეტის ლულა აქვს.

2. ის პირები, რომელთაც დღეს ზემოხსენებული იარაღები აქვთ, თუნდაც წესიერ კანონიერად მიცემული მოწმობებით, ვალდებულნი არიან შვიდი დღის განმავლობაში ამ გრძანების გამოქვეყნებიდან ჩაბარონ იარაღი ქ. ტფილისში გარნიზონის უფროსის სამმართველოს.

ქ. ქ. ქუთაისს და ფოთში მილიციის უფროსთა სამმართველოებს და რესპუბლიკის სხვა ადგილებში კი სათანადო კომისარიატებს.

შენიშვნა: ყველა დღემდის მიცემული მოწმობა I, მუხლ. შენიშვნაში აღნიშნულ იარაღთა ტარებისა და შენახვის შესახებ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულად ითვლება.

აკრძალულია აგრეთვე დადგენილების I მუხ. შენიშვნაში აღნიშნულ იარაღთა ტარება და შენახვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებადაურთველად. ნებართვა მიცემული იქნება გახს კეთრებულ, საპატიო შემთხვევებში სათანადო სამაზრო ერობათა და ტფილისსა, ქუთაისსა, და ფოთში კი ადგილობრივ მილიციის უფროსთა დასკვნის მიხედვით.

ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევისთვის დამნაშავენი ადმინისტრატიულ წესით დაჯარიმებული იქნებიან 10 000 მან. ან და 3 თვემდე ციხეში დაპატიმრებით.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის განცხადების დღიდან.

29 ნოემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

შინაგან საქმეთა მინისტრი
ნ. რამიშვილი

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში.

მისალმება.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ახალსენაკიდან:

„სენაკის სამაზრო სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა გულმხურვალეთ ესალმება ჩვენს სიამაყეს, ჩვენი დემოკრატიის მბსნელს სახალხო გვარდიას. გვწამს, რომ სახალხო გვარდიის მიერ დაღვრილი სისხლიდან იშვის ქართველი დემოკრატიის ბრწყინვალე მომავალი.

ყრილობის თავჯდომარე **მალაქია.**

ფ. მახარაძის და სხვების დატუსაღება.

30 ნოემბერს სახალხო გვარდიელებმა კოჯორის ქუჩაზე დაატუსაღეს ბალშევიკების მეთაური ფილიპე მახარაძე. იმავე დღეს სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ნაშუადღევის 3 საათზე დაატუსაღა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში ბალშევიკური გამოსვლების მეთაური ალექსანდრე მახარაძე.

საქართველოს გარშემო.

ნ. რუსანოვის წერილი საქართველოს შესახებ.

შვეიცარიის ჟურნალ „ციუის-ორიან"ში მოთავსებულია შემდეგი წერილი ცნობილ სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის წევრის პუბლიცისტ რუსანოვისა.

მე, როგორც მტკიცე სოციალისტ რევოლიუციონერს და მოუნანიებელ ინტერნაციონალისტს მიზნათ მაქვს განვიხილო ამ წერილში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და მისი (საქართველოს) დამოკიდებულება ყოფილ რუსეთის იმპერიასთან.

ძნელი საკითხია სინდისის საკითხი ბევრ ჩემ თანამოქალაქეთათვის და პოლიტიკურ თანამოაზრეთათვის, რადგანაც იმის მიხედვით რასაც მე ვკითხულობ და მესმის ირგვლივ, იმ პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი რიცხვი, რომელსაც მე ვეკუთვნი დიდი ხანია წინააღმდეგია საქართველოს დამოუკიდებლობისა. მათ შორის მკონი ისეთებიც არიან, რომლებიც თვით ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზეც კი იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის წინააღმდეგ და მთელი ძალ ღონით ხელს უშლიან მას.

რადგან მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტაქტიკა დამყარებულია გაუგებრობაზე და, რადგან დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესს შეადგენს რუს და ქართველ სოციალისტების შორის შეთანხმებისა და თანაშრომლობის დაბრკოლების მოსპობა, მე ამ საკითხის შესახებ აშკარათ გამოვთქვამ ჩემს აზრს. მხოლოდ ჩემს პირად აზრს გამოვთქვამ, რადგან მე ამ ჟამად არ ვიცი ოფიციალური შეხედულება რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიისა, რომელსაც ბოლშევიკური ტირანია არ აძლევს საშუალებას მოახდინოს პარტიის საერთო ყრილობა და აღადგინოს თავის ცენტრალური კომიტეტი. მე მაინც ვფიქრობ, რომ ის რასაც მე ქვევით ვიტყვი გამომდინარეობს ჩვენი პარტიის პროგრამიდან.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა უარვყოთ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგობა, რომელსაც სუფეკლათ აქვს შეხედულება ყოფილ რუსეთის იმპერიაზე, როგორც მთლიან სახელმწიფოზე. „დიდ რუსეთის" იდეა ამ სპეციფიურ მნიშვნელობით არ შეიძლება დაიცვან დემოკრატებმა და ჯულწრფელმა სოციალისტებმა. ჩვენი პარტია სამართლიანად ამაყობს იმით, რომ მან პირველმა რუსულ პოლიტიკურ პარტიებიდან დაწყო ბრძოლა ამ დაღუპველ შეხედულებათან, და თავის დაარსებიდან შეიტანა თავის პროგრამაში წმინდა ფედერალიზმის იდეალი, რომელიც საუკეთესოთ შეეფერება მხარის სიდიდეს და იმ რასების და ერების ნარევს, რომელსაც წარმოადგენდა ყოფილი რუსეთის იმპერია, რომელიც გაჰვიებით ერთიანდებოდა მეფის პოლიტიკათ. თებერვლის დიდი რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც დამსხვრია ეს ერთიანობა, უმეტეს ნაწილად ხელოვნური და დესპოტიზზე დამყარებული, სხვა და სხვა ერებმა, რომლებიც აქტიურ ცხოვრებას ეწაფებოდნენ, თავის ნაციონალური მისწრაფება გამოხატეს ავტონომიათ და დამოუკიდებლობათ.

ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ყველა ეს ერები ჯუფდებოდენ სრულიად რუსეთის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის ირგვლივ. დამფუძნებელ კრებას ამ დროს უყურებდენ, როგორც სიმბოლო სახალთავისუფალი სახელმწიფოისას, დამყარებულს მის ერების შეთანხმებაზე. ეს შემოქმედებითი ხანა ძალით შესწყვიტა ბოლშევიკურმა კონტრრევოლიუციამ, რომელიც მიუხედავათ ლამაზ სიტყვებისა, არსებითად რეაქციონური მოძრაობა იყო. დამფუძნებელი კრება ერთი დღის შემდეგ ბოლშევიკებმა გარეკეს. დემოკრატიულ ფედერალიზმის იდეა ჩახშული იყო სისხლის მორევში, საყოველთაო ლოზუნგში „თავს უშველე ვისაც შეგიძლია" სხვა და სხვა ერები ცდილობდენ შეინარჩუნებიათ თავის ავტონომიისა და დამოუკიდებლობიდან რაც კი შეიძლებოდა, თავს იცავდენ ე. წ. კომუნიზმიდან, უფრო დამმონავებელიდან, ვიდრე ცარიზმი.

საქართველოს ბოლშევიკებთან ბრძოლა გაუძნელა გარეშე მდგომარეობამ: პატარა ერი ოსმალეთის დანის ქვეშ იყო.მე არ შეუდგები უკანასკნელ 16-თვის ისტორიის განხილვას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. ამ პერიოდში მომხდარი ამბები ყველასთვის ცხადია. მნიშვნელოვანია მხოლოთ ის, რომ საქართველომ გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებლათ და სუვერენულათ და ის ქართველები, რომლებიც ბოლშევიკურ გადატრიალებამდე მუშაობდენ დიდ რუსეთის დემოკრატიის შესაერთებლად, ჩაუდგენ სათავეში ახლად დაარსებულ საქართველოს რესპუბლიკას.

რა უნდა ვთქვათ ამის შესახებ ჩვენ, სოციალისტ-რევოლიუციონერებმა, რომლებიც არ ვიყავით დაბრმავებული ერთიან სახელმწიფოებრივობით? უპირველეს ათ ჩვენ სავსებით უნდა ვაღიაროთ საქართველოს უფლება თავის დამოკიდებულების გამოცხადებისა და გამოყოფის რუსეთის იმპერიიდან, რომელსაც 17 თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მიეცა ფორმა ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

და როცა ჩვენ გვეუბნებიან, რომ არ შეიძლება ექნეს აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობის უფლება გამოყოფამდე, რადგან რუსეთი არის ორა სახელმწიფო კავშირი, არამედ მოკავშირე სახელმწიფო, რისთვისაც მისი თანხმობა აუცილებელია, ჩვენ უნდა უპასუხოთ, რომ კონსტიტუციური უფლება სუსტია სინამდვილისა და დაუზოგველ ფაქტების წინაშე. ეს ფაქტები იმის მოწმენი არიან, რომ რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა ეხლა არსებობს, როგორც იდეალი რომლისაკენ მიისწრაფიან რუსი სოციალისტები და დემოკრატები ერთი მხრივ ბოლშევიზმა, მეორე მხრივ ოლმა და ბოლოს ერთა სეპარატიულმა ტენდენციებმა დაამხვრიეს სახელმწიფოს ორგანიზმი მრავალ ნაწილათ. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც გვწამს, რომ ბოლშევიკურ რეჟიმის დამხობა და დიდ რუსეთის აღდგენა მიიზიდველ გავლენას იქონიებენ იმ მხარეებზე, რომლებმაც თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს და გამოიწვევენ იმის საწინააღმდეგო პროცესს, რომელსაც ჩვენ ეხლა ვხედავთ: ესერები ისევ მოისურვებენ ფედერატიულად შეერთებას, მთლიანობის შექმნას. ამ ჟამად მდგომარეობა ასეთი არ არის. და რადგან ქართველები, განსაკუთრებით ეხლა, აღფრთოვანებულნი არიან დამოუკიდებლობით, ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არ უნდა გვქონდეს ამ ნაციონალურ გრძნობისა, არამედ უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული აუცილებლობა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებისა.

ჩვენ, როგორც ინტერნაციონალისტები, ვისწრაფოთ ყველა ერთა ფედერაციისაკენ და განაკუთრებით რუსეთისას.

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ჩვენი ამხანაგების მეორე ინტერნაციონალის მოსაზრებანი, რომლებიც სამართლიანათ მიგვითითებენ ახლად შექმნილ სახელმწიფოებში ნაციონალურ ბრძოლის საფრთხეზე.

მეორე მხრივ ჩვენ უნდა გვერდი აუხვიოთ ყველა იმას, რაც ხელს შეუშლის ამ ახალ ორგანიზმებში დემოკრატიის განვითარებას. ჩვენ რომ ეხლა საქართველოში ვიყოთ, ქედს მოვიხრიდით ქართველების ნების ყოფის წინაშე, რადგან მათ სურთ იცხოვრონ და იმოქმედონ სრულიად დამოუკიდებლად და ამავე დროს არ ფარავენ ინტერნაციონალურ და ფართო ფედერატიულ იდეალს, რომელიც ჩვენ გზას გვინათებს ბ მომავალს გვიჩვენებს".

ქალაქის თვითმართველობაში.

მედიკო-სანიტარული ინსპექტორი შემდეგ მოწოდებით მიმართავს მოქალაქეთ:

მოქალაქენო!

პარტატიანი ტიფის ეპიდემიის მოლოდინში ვიმყოფებით. თუმცალა გასული ივლისის დამლევს პარტატიანი ტიფის ეპიდემია გათავებულათ ჩაითვალა, მაგრამ ამ სენით ავადმყოფობა მთლად არ შეწყვეტილა. თითოეროლა შემოხვევა შემდეგშიაც თითქმის ყოველ დღე იყო. მაგალითად აგვისტოში იყო 33 შემთხვევა; სექტემბერში 19; ოქტომბერში 22; ნოემბერში კი დღემდის უკვე 40 შემთხვევაა, თუმცალა ეს უკანასკნელი საერთოდ მცირე რიცხვია, მაგრამ მაჩვენებელია იმისა, რომ ცივი ამინდების დაწყებისთანავე ეგ სენიც თანდათან ვრცელდება. ცივ ამინდებთან იწვევენ ბინებში მეტ ხანს ყოფნა-შეჯუფებას, აქეს თან მოსდევს უ ფუფიანობის გაძლიერებაც, რაც თავის თავად კბენართა გაჩენა-გაძრავლებას ნიადაგს უმზადებს. კბენარი ხომ ერთად ერთი მიზეზია პარტახტიანი ტიფის გადადებისა. მხოლოდ კბენარის საშუალებით შეეყრება ეს სენი ადამიანს.

მაშ, მოქალაქენო, ეცადეთ მეტი სისუფთავე დაიცვათ კბენარები არ გაგიჩნდეთ.

ქალაქის გამგეობა გიწვევთ ინარგებლოთ ქალაქის უფასო აბანოებით:

მამა-კაცთათვის—აბანო „ფანტაზიის" საერთო განყოფილებაში, ვორონცოვის ქუჩა № 6.

ქალთათვის—„ბერხეულიძისეულ" აბანოს საერთო განყოფილებაში, ვორონცოვის ქუჩა № 18/20.

ტფილისის განწმენდისათვის.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ იკისრა მეათედი ნაწილი იმ ხარჯებისა, რომელიც უნდა დაიხარჯოს ტფილისიდან ზედმეტ ელემენტების გასაგზავნათ; თვითმართველობამ თხოვნით მიმართა აგრეთვე გზათა დეპარტამენტს, რათა შეღავათიან ფასებში დაუთმოს საზამთრო სათბური ვაგონები.

გადასახადების აკრეფისათვის.

ქალაქის თავმა შემდეგი ბრძანება გასცა ქალაქის მილიციის უფროსისადმი:

სახელმწიფო სიძლიერე დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დროიანათ და სავსებით იკრიბება სახელმწიფო გადასახადები. არა ერთხელ მიმიქცევია მილიციისა და განაკუთრებით კომისრების ყურადღება იმ არა ნოლმარულ მდგომარეობაზე, რომელიც იქმნება ამ დარგში მილიციის თავის დონეზე არ დგომით. დღეს კი აშკარათ მტკიცდება ეს იმ მოხელეებიდან, რომელიც საქართველოს საგაჭრო სამრეწველო პალატამ წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს და ფინანსთა მინისტრს და რომელშიაც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო პირდაპირი გადასახადები იკრიბება მეტად ზანტათო" (იხ. გაზ. „ივერია" № 4).

საჭიროა ამ მხრივ ბოლო მოეღოს უმოქმედობას.

მე ვაფასებ მილიციის სამსახურს ქალაქის ფარგლებში ბოროტ-მოქმედების და ბოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ და საერთოდ წესიერების დამყარებაზე საქმეში, მაგრამ მან ეს ნაკლი და დაუდევრობაც უსათუოდ უნდა გაასწოროს.

მილიციის არც ერთი მოხელეთაგანი, რომელიც შესაფერ ენერგიასა და უნარს არ გამოიჩენს ამ საქმეში კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ სამსახურში არ დარჩება. მიმდინარე დეკემბრის განმავლობაში არც ერთი კაპეიკი სახელმწიფო გადასახადისა აუკრეველი არ უნდა დარჩეს. ისიც რომ არ იყოს, რომ სახელმწიფო მილიციის შესანახათ დიდ თანხას იღებს, ადგილობრივ თვითმართველობათა უპირველესი ვალდებულება არის გადასახადების თავის დროზე და სრულიად შეკრებაში ყოველი ღონე იხმაროს.

ამ მოწერილობის ასლი ცნობათ ეგზავნება ამასთანავე გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის უფროსს, რომელთანაც სრული კონტაქტით და მორჩილებით მილიციამ უნდა გააცხოველოს თავისი მუშაობა ამ საქმეში.

დედანზე ხელს აწერს ტფილისის ქალაქის
მოურავი **ბ. ჩხიკვიშვილი.**

კომისიის სხდომა.

დღეს, 3 სექტემბერს, დილის 11 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგება ტფილისის უსაქმურ ელემენტების გაწმენდისათვის შემდგარ კომისიის სხდომა.

უცხოეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

გერმანული პრესა.

გერმანელ დამოუკიდებელთა ყრილობის გამო, რომელიც ამ ცოტა ხანში ლაიპციგში უნდა მოხდეს, ფრიდრიხ სატბერი გაზეთ „ფორვერტსში“ მოითხოვს, რომ დამოუკიდებლებმა პირდაპირ განაცხადონ, თუ ვინ არიან ისინი: დემოკრატები თუ კომუნისტები? მემარცხენე ფრთას, რომელიც უძლიერესი ნაწილია პარტიისა მხოლოდ მაშინ შეუძლიან მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგეს თავის რუსული სახის ბოლშევიკური ტენდენციით, როდესაც დემოკრატიულ ნიადაგზე ცალი ფეხით აღარ იდგომება. დამოუკიდებელთა მემარჯვენე მცირე რიცხოვანი ნაწილი, რომლის სათავეში კაუტსკი და შტრებელი სდგას და რომელიც დემოკრატიისათვის მედგრად იბრძვის, გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატიულ უშეტესობას მიეკედლოს. დროა საერთო მუშაობის არა ნორმალური მდგომარეობა მოსპოს დემოკრატებსა და კომუნისტურ დიქტატურის მომხრეთა შორის დამოუკიდებელთა ერთსა და იმავე პარტიაში.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით არტურ ნიკში რომში მყოფ წმ. ცეცილიის აკადემიის მწვრთნელ დეკემბერსა და აპრილში რამდენიმე კონცერტს დირიჟორობას გაუწევს.

აღმოსავლეთ გერმანიის პირველ ფართლეულობის მრეწველობის იარმოკზე, რომელიც კენიგსბერგში (პრუსიაშია) გაიხსნება ამ ცოტა ხანში, გერმანიის ყოველი კუთხიდან იმდენი წინადადება მოდის, რომ იძულებული არიან ექსპონატების მიღების ვადა 1 დეკემბრამდის გააგრძელონ.

ერთი სააგენტოს მიერ ფართედ გავრცელებული ხმები გერმანიის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთის შორის ტყვეთა გაცვლა-გამოცვლასა და დაჭერილ ქონებათა მიცემაზე მოლაპარაკების დწყების შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა მიერ სინამდვილეთ არ არის აღიარებული.

გერმანიასა და ინგლის შორის გამართულ მოლაპარაკების გამო, ინგლისი შეპირდა გერმანიას სამხედრო ტყვეების ინდოეთიდან დეკემბერში გაგზავნას და გზაში ტყვეებისადმი ჰუმანიურ მოპყრობას.

საარის ოლქიდან იუწყებიან, რომ გადამდნობ ქარხნების უმეტესი ნაწილი აღარ მოქმედობს, რაც დარჩა, ისინიც ძალიან ნაკლებად მუშაობსო. ქარხნები ერთ ნაჭერ ნახშირსაც ვერ შოულობენ, რადგან საფრანგეთის მთავრობა საარის ნახშირის მიღებას ხელს უშლის.

გაზ. „სანდეი ტაიმსი“ სწერს: მშვიდობიანობა დამყარდება რუსეთში და მაშასადამე, მთელ ქვეყანაზეც მაშინ, თუ ყველა ბოლშევიკურ ელემენტები წინააღმდეგ შეერთდებიან. ბოლშევიზმი რომ მოვსპოთ, მაშინ ბოლშევიკური ხალხი რუსეთში თავის ნებით შესწყვეტს თავის კოხფლიკტებსო.

ცნობა განაპირა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და მათ შორის რაინისა, გვკონია, რომ რუსეთის სახელმწიფოს დავალიანების პრობმას გადასწყვეტდა: ეს ინგლისს შესაძლებლობას მისცემდა იქიდან დიდი სარგებლობა გამოეტანა პურისა და ლითონიების სახით, რომელიც ეს უკრაინაში მკვდარი კაპიტალის სახით იმყოფებაო.

24 ნოემბერს ბელორუსიის რადამ ლიტვის თავმჯდომარეობით გახსნა თავისი სხდომები.

გაზ. „სეკოლოს“ მიწინავე წერილში მოჰყავს ტურატის სიტყვა და მასთან ერთად მოითხოვს ვერსალის ნაძალადევ საზავო ხელშეკრულობის გადასინჯვის აუცილებლობას, რადგანაც ეს ხელშეკრულება ქვეყნის მშვიდობიანობას კვალად საფრთხეში აგდებს. კათოლიკური „კორესპონდენციაც“ მოითხოვს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას.

ვენიზელოსი რომში მოვიდა. მას შეხვდენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი გრაფი სფორცი, საბერძნეთის მისიის წევრები და საბერძნეთის ახალშენების წარმომადგენელი.

სოფია დანტასი დაინიშნა რომში ბრაზილიის ელჩად. იტალიური პრესა აღნიშნავს ამ დიპლომატის განვლილ მოღვაწეობას რომისა და ბრაზილის შორის მეგობრულ განწყობილების განმტკიცების საქმეში.

ადმირალი მარიაგრაცი დაინიშნა იტალიის დელეგატად ხალხთა ლიგის საზღვაო სექციაში.

ფრანგული პრესა.

სტამბის მუშები, რომლებიც 3 კვირა გაფიცულები იყვნენ, ძველი პირობებით განაახლებენ ხვალ მუშაობას.

ლეონ ბურჟუს ინიციატორობით ბრიუსელში ხვალ გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია ხალხთა ლიგის გასამტკიცებლად საგუალების გამოსანახად.

კვირას მთელ საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნები მოხდა. პარიზში ამორჩეულ 55 მუნიციპალურ საბჭოში—40 ძველია, ხოლო 15 ახალი.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა კომისიამ მოწერილობა გაგზავნა, რათა გერმანიის ჯარმა ბალტიის მხარის ევაკუაცია 15 დეკემბრამდე მოახდინოს. ამ დროამდე უნდა შეწყდეს ლიტვის ჯარის შეტევა. დასძენენ, რომ ჯარის ევაკუაცია ტეხნიკურად მოსახერხებელია.

საფრანგეთის ქალაქებში მუნიციპალურ არჩევნებში უმეტეს ნაწილად რესპუბლიკანელთა ხმა გავიდა. ზომიერ პარტიების ამ ახალ გამარჯვებას მშვიდობიანი შრომის განახლების სურვილით ხსნიან.

ვაშინგტონში მყოფი სენატორი ზიჩოვი მოსაზრებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ სენატი ორშაბათის სხდომაზე ჩქარა მიაღწევს შეთანხმებას საზავო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც მოკლე კამათის შემდეგ დამტკიცებული იქნებაო. იგი არაფერს არ ამბობს, იმის შესახებ თუ რა საფუძველი ექნება შეთანხმებას. წეკრების უმეტესობას იმედი აქვთ, რომ პრეზიდენტი ვილსონი, როდესაც ხელშეკრულებას სენატს წარუდგენს მას გაუკეთებს რაიმე კომენტარიებს, რომლებიც ორ მოწინააღმდეგე მხარეების მოლაპარაკებას შესაძლებლათ გახდის. თუ შეთანხმება მოხდა—ეს სხდომის დარბაზის გარეთ იქნება და საზავო ხელშეკრულების ხელ ახლა გაურჩევლათ, როდესაც ორი მესამედი ხმის მიღება უზრუნველყოფილი იქნება, წინადადებას მისცემენ სენატს და საჩქაროდ კენჭს უყრიან.

ერობა.

ოზურგეთის სამაზრო საერობო არაჩვეულებრივი ყრილობა.

ყრილობის წესრიგი.

შაბათს, 22 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე გაიხსნა ოზურგეთის სამაზრო საერობო არაჩვეულებრივი ყრილობა ხმ. ბენიამენ ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით და კ. ბერიძის მდივნობით. დაესწრო 23 ხმოსანი. განსახილველი იყო საკითხები: 1) ხე ტყის მრეწველობის წარმოებისა და ამერიკელ მოქალაქის განლიუდან ქარხნის შესაძენათ სესხის გამოთხოვა მთავრობისაგან; 2) სანიტარული გადასახადი; 3) მოსამსახურეთა შტატი; 4) ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე გაწეული ხარჯების დამტკიცება; 5) საექიმო პუნქტები და 6) მიმდინარე საკითხები: ა) ჭაობებიანი მიწების შესახებ, ბ) ოზურგეთ-ნატანების გზაზე ტვირთის გადახიდვის ნახრისა და გადასახადის დაწესება; გ) სოფ. აბუთვანისა და ემალაურის სახელწოდების შეცვლა; დ) ნანეიშვილისეულის თემის სახელწოდების შეცვლა; ე) ფონდის მიწებიდან ნაკეთების გამოთხოვა ერობის საჭიროებისათვის; ვ) წვრილი საერობო ერთეულების სახელწოდები; ზ) დღიურები გამგეობის წევრთა და მოსამსახურეთათვის; თ) მასწავლებელთათვის ას მანეთიანი დამატების შესახებ და ი) ჩოხატაურ-საჯევახოს გზატკეცილის შესახებ.

მოხსენება უკან. გამოსვლების შესახებ.

ყრილობის გახსნისას გამგეობის თავმჯდომარე ბ. ს. ჭინტურიშვილი მოკლე მოხსენებას აკეთებს უკანასკნელი გამოსვლების შესახებ; ის ამბობს, რომ ხალხი ჯეროვანი წინაალმდეგობით შეხვდა ამ გამოსვლებს, სამაზრო ერობაც მომზადებული აღმოჩნდა, ადმინისტრაცია სამაზრო, სარაიონო და სათემო მილიციის სახით ოზურგეთის მაზრაში სდგას თავის დონეზე მილიციის გვერდით. მომხენებელი აღნიშნავს გვარდიისა და რეგულიარული ჯარის ერთსულოვანსა და ენერგიულ მოქმედების ანარქიის ჩაქრობის საქმეში; ბ-ნი ჭინტურიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ხალხის ერთსულოვნად გამოსვლას მეამბოხეთა წინააღმდეგ და აგრეთვე აღნიშნავს თემების ენერგიულ დახმარებასაც, რაც გამოიხატა მათ მიერ ადგილობრივათ გამაგრებისა და ცენტრისთვის საჭირო ძალების მოწოდებაში. ყრილობა, ღებულობს რა თავმჯდ. ბ. ჩხიკვიშვილის წინადადებას ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ სხდომისათვის გადადების შესახებ, ეხზე ადგომით პატივს სცემს ანარქიასთან ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას და ადგენს: **„ალიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო ხარჯზე მოკლულთა ოჯახები“.**

ხე ტყის საწარმოო ქარხნის შეძენა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგ. თავმჯდომარე ბ. ჭინტურიშვილი. ის ამბობს, რომ არსებულ პირობებში ერობას არ შეუძლია გადასახადებით არსებობა, მან წარმოებას უნდა მოკიდოს ხელი; გამგეობამ გადასწყვიტა ხე ტყის წარმოება გააჩაღოს, ამ ძიზნით მას გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს ნატანებში არსებული ხე-ტყის საწარმოო ქარხანა, რომელიც ეკუთვნის ამერიკელ განლიუს. გამგეობამ ამ უკანასკნელთან მოლაპარაკებაც გამართა და თანახმობაც მიიღო მიჰყიდოს მას ქარხანა, მაგრამ მოითხოვს ფულს ინგლისური სტერლინგებით, სულ დაახლოვებით 4,500 გირვ. სტერლინგამდე, რაც ჩვენს ფულზე შეადგენს 3 მილიონამდე. ეს თანხა გამგეობას არ გააჩნია, მან აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სესხის მიცემის შესახებ. დამფუძნებელმა კრებამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, მაგრამ საჭიროა ყრილობის დადგენილება სესხის მისაღებათ. შემდეგ მომხსენებელი აცნობს ყრილობას, რომ გურიანთის ტყე, რომელიც უნდა დაამუშაოს ერობამ, აღებული აქვს ქალაქთა კავშირს, მაგრამ იმედი გვაქვს ჩვენ დაგვეთმობაო. უკანასკნელათ მომხსენებელი სთხოვს ყრილობას ნება დართოს გამგეობას აიღოს კიდევ გარდა სამი მილიონისა ორ მილიონიანი სესხი მთავრობიდან ან კერძო ბანკებიდან თუ დაწესებულებათაგან ზემო გურიაში არსებულ ტყეების საექსპლოატაციოთ და ამ მიზნით იქ არსებულ პატარა ქარხნების შესაძენად.

ყველა ფრაქციები სიამოვნებით ეგებებიან გამგეობის ამ მოხსენებას და უსურვებენ გამგეობას ასეთივე ნაბიჯის გადადგმას სხვა დარგშიაც. ყრილობა ერთხმად ადგენს:

„1. მიენდოს ერობის გამგეობას გამოითხოვოს მთავრობისაგან სამი მილიონი მანეთის სესხი ხე-ტყის წარმოების მოსაწყობად იმ პირობით, რა პირობითაც მიიღებს ამ შუამდგომლობას საქართვ. რესპ. დამფ. კრება; აგრეთვე აიღოს საექსპლოატაციოთ გურიანთის ტყე სათანადო წესით; 2. მიენდოს ერობის გამგეობას ამერიკელ მოქალაქე ვან ლიუდან მიშა ნაკაშიძის ნაქონი ხე-ტყის ქარხნის შეძენა მთავრობისაგან აღებულ სესხით და სამისო ნასყიდობის გაკეთება ოზურგეთის ერობის სახელით და 3. დაევალოს ერობის გამგეობას გამოიკვლიოს, შეისწავლოს და კიდევაც შეიძინოს და აამუშავოს გურიაში არსებული ხე ტყის ქარხნები; აიღოს მთავრობისაგან იჯარით გურიაში არსებული ტყეები საჭიროების მიხედვით და მიეცეს მას უფლება აიღოს სესხათ მთავრობისაგან ან კერძო ბანკებისა — თუ დაწესებულებათაგან ორი (2,000,000) მილიონი მანეთი“.

სანიტარული გადასახადი.

ბ-ნი ს. ჭინტურიშვილი აკეთებს მოხსენებას სანიტარული გადასახადის შესახებ. ის მამგეობის სახელით შუამდგომლობს ყრილობის წინაშე შეცვლილ იქნას 21 ივლისის ყრილობის დადგენილება სანიტარული გადასახადის რაოდენობისა და მისი თემებზე განაწილების შესახებ. მომხსენებლის სიტყვით ეს გადასახადი ჯერ თემებზე არ გაწერილა, რადგან შიგ ცვლილება იყო შესატანი და აგრეთვე მიწის ერთდროული გადასახადის, რომელიც ეხლა იკრიბება გურიაში, გვერდით ამ გადასახადის გაწერაც ხალხს დაამძიმებდა ცუდ პირობებს შექმნიდა. უკანასკნელად ის უდგენს ყრილობას პროექტს ამ გადასახადის თემთა შორის განაწილების შესახებ და ამ უკანასკნელთა მიერ მცხოვრებლებზე გაწერის ინსტრუქციას. გადასახადის მთელი ჯამი შეადგენს—1,744.000 მანეთს. გადასახადი უნდა გაიწეროს არა უგვიანეს 15 დეკემბრისა, უნდა აიკრიბოს არა უგვიანეს 30 დეკემბრისა. 10% შემოსული გადასახადისა რჩება თემის გამგეობას, დანარჩენი თემს შეაქვს სამაზრო ერობის კასაში არა უგვიანეს 1920 წლის 5 იანვრისა. ყრილობა მუხლობრივ იხილავს რა განაწილების ნუსხას, მცირე კამათის შემდეგ ღებულობს მას მცირე შესწორებით, რაიც გამოიხატა ნიგოითის თემისთვის 15,000 მანეთის დაკლებაში. ნუსხა ამ გადასახადის თემებზე განაწილებისა ასეთია:

1) დვაბზუს თემი—80,000 მან., 2) მიქელგაბრიელის—92,000 მან., 3) ლიხაურის—25 ათასი მან., 4) გურიანთის—24,000 მან., 5) ხვარბეთის—44,000 მან., 6) შემოქმედის—70 ათასი მან., 7) ბახვის—45,000 მან., 8) ჩიბათის—66,000 მან., 9) აკეთის—65,000 მან., 10) შუხუთის—23,000 მან., 11) ძიმითის—33,500 მან., 12) ნიგოითის—63,000 მან., 13) ჯუმათის—30,000 მან., 14) აცანის—20,000 მან., 15) ჯურუყვეთის—44,000 მან., 16) ჩოჩხათის—35,000 მან., 17) სუფსის—175,000 მან., 18) ასკანის—32,000 მან., 19) ხიდისთავის—175,000 მან., 20) ნაგომრის—35,000 მ., 21) ზემოხეთის—46,000 მან., 22) ამაღლების—34,500 მ., 23) ნანეიშვილისეულის—35,000 მან., 24) სურების—30,000 მან., 25) ერკეთის—57,000 მან., 26) ჩოხატაურის—350,000 მან. ჯამი—1,729,000 მან.

ჯამაგირები

საკითხები მოსამზადებელია შტატის, მაფიჯამაგირების და დღიურების შესახებ გადაეცა კომისიას წინასწარ განსახილველად.

სხდომა შესწყდა შუადღის 3 საათამდე.

დამფუძნებელი კრების კომისიებში

შრომის ხელშეკრულება

დამფუძნებელ კრების შრომის კომისიამ განიხილა საქმე და გადასცა იურიდიულ კომისიას მოხსენება შრომის ხელშეკრულების შესახებ.

ხელოვნების კომისიის სხდომა

დღეს, დილის 11 ნახევარ საათზე შესდგება ხელოვნების კომისიის სხდომა.

მილიციაში.

სისხლის სამ. მილიციამ დააპატიმრა სასტ. „ნოე“-ში მცხოვრები ვასილ გლოვი, რომელსაც აღმოაჩნდა აღნიშნულ სასტუმროს ყველა ოთახების გასაღებები. მას მიზნათ ჰქონდა სისტემატიური ქურდობა მოეხდინა აღნიშნულ ნომრებში. მას აღმოაჩნდა თავისი ბიძისშვილის პასპორტი, მისი ნამდვილი სახელი და გვარი კი ყოფილა ბრანისლავ ანდრიას ძე გლოვი. ის მოათავსეს ციხეში ადმინისტრატიული წესით 3 თვით.

—

სისხლ. სამ. მილიც. დააპატიმრა აგრეთვე: 1. ნიკოლოზ მიხეილის ძე ტკაჩენკო, 2. პეტრე ალალის ძე ისაევი, როგორც მავნე ელემენტები. ისინი დაპატიმრებული არიან სამი თვით.

—

30 ნოემბერს, პუშკინის ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონს (მეოც. მარშ.) ქვეშ მოჰყვა 13 წლის ვაჟი, სიმონ ბარსემოვი, დაშავებული მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.

—

ელისაბედის ქუჩაზე, სახლში № 66, თავის ბინაზე იპოვეს დამჩაღი მარია იუნგაროვისა. დახჩობას აბრალებენ ამბარცუმ შიხალოვს, რომლის დასაპატიმრებლად მიღებულია ზომები.

—

მეთერთმეტე უბნის კომისარმა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 135 აღმოაჩინა შემდეგი გადამალული საქონელი: 62 ყუთი კონიაკი, 190 ცალი ვინტოვკის სისტემის თოფების ხიშტები, 1 ყუთი თოფის გასაწმენდი მასალა, 1 ყუთი „ბომბები“-თ სავსე, და სხვა და სხვა საქონელიც რამდენიმე ყუთი.

—

1 ქრისტეშობისთვეს საღამოს 8 საათზე შეიარაღებული ბოროტ-გამბრახველნი თავს დაესხნენ შერემეტევის ქუჩაზე № 39 მოქალაქე მახარაშვილს, რომელსაც წაართვეს ფულათ 15 000 მანეთი და სხვა მრავალი ნივთები სულ ღირებული 100.000 მანეთისა. იქ ფრიადაჩქარიდ გაჩნდა ტფილისის მილიციის უფროსი სულაქველიძე, რომელმაც მე 12 უბნის კომისრის რევიშვილის საშუალებით დააპატიმრა ბოროტ მოქმედნი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ნაძარცვი. ნაძარცვი საქონელი და ფული უკლებლათ გადაეცა კუთვნილებისამებრ. ბოროტ-განზრახველნი აღმოჩნდნენ ვლადიმერ საიხანაშვილი, დოროფეი ბენდელიანი, კონსტანტინე ჯაიანი და ვასილი კიკვაძე.

—

26 ნოემბერს, მიხაილოვის ქუჩაზე № 191 მცხოვრებ მოლინაკის უცნობმა ბოროტ-მომქმედებმა მოჰპარეს სხვა და სხვა საოჯახო ნივთები 9500 მანეთად ღირებული. მილიციამ ძიების შედეგ შეიპყრო კ. ევლაქოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ზოგიერთი მოპარული ნივთები.

სომეხთა ცხოვრება

ზედმეტ ელემენტების გაძევების გარშემო.

ამ დღეებში შესდგა სომეხთა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმის, აღმასრულებელ კომიტეტის და დამფუძნებელ კრების სომეხ წევრთა შეერთებული სხდომა ქალაქიდან ზედმეტ ელემენტების გაძევებასთან დაკავშირებულ საკითხების გადასაწყვეტათ.

სომხეთის მთავარსარდლის ჩამოსვლა.

ტფილისში ჩამოვიდა სომხეთის ჯარების მთავარ სარდალი გენ. ნაზარბეკოვი.

ლტოლვილთა საქმე.

სომხეთის მხრუნველობის სამინისტრომ გუმბრის ქალაქის თვითმართველობას 400 ათასი მანეთი მისცა ლტოლვილთა საზოგადოებრივ სამუშაოების მოსაწყობათ.

უფასო სურსათი

ერევნის გაზეთების ცნობით ყარსის ოლქში ამ ჟამათ უფასოთ სურსათს ღებულობს 32,927 კაცი, ფულით დახმარებას 37,665 კაცი ღებულობს.

სხვა და სხვა.

◆ ამ დღეებში სტამბოლიდან ბათომში გამოსული იტალიის საფოსტო გემი ქარიშხალმა დააზიანა. გემმა გზის განგრძობა ვეღარ შეძლო. ამიტომ იტალიიდან საქართველოში ამ გემით გამოგზავნილი მორიგი ფოსტა ერთი კვირის შემდეგ ჩამოვა ბათომში.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობამ ჩაიბარა ყოფილ სასტუმრო „ბო მონდის“ ბინა სტუდენტთა საერთო ბინისთვის. ოთახები მიეცემათ სრული ათ უბინაო სტუდენტებს. დაბინავების ნებართვას იძლევა სტუდენტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

◆ მომავალ წლის თებერვალში დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა ყრილობა.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „ჯეჯილის“ № 8—9. ჟურნალში მოთავსებულია შინაარსიანი საბავშვო ლექსები, მოთხრობები და სურათები.

◆ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ მორიგ (13) ნომერი გამოვიდა. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები (შიო მღვიმელის და სხ.) მოთხრობა—წერილები, რომანი „განახლებული სიცოცხლე“, ახალი პიესა კ. გერგესელისა „თავისუფლების რიჟრაჟზე“, წვრილი ამბები და სხ. ნომერი შემკულია მრავალი სურათებით.

◆ სოჭის ქართველობამ სათანადო უწყების წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სოჭის გიმნაზიებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულო საგნად იქნეს შემოღებული.

◆ რადგანაც ბოლო დროს გახშირდა ისეთი კლუბების გახსნა, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ ქალაქის თამაშის გაძლიერება ტფილისის კლუბების კავშირმა გადასწყვიტა ზომები მიიღოს ასეთი კლუბების წინააღმდეგ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ონისიმე პეტრეს ძე დავლიანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული სოფ. სხვავის საზოგ. კანცელარიიდან (ქუთაისის გუბ.) პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს 3—3

ივანე მარკელის ძე კულმისევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რუსეთის ეროვნულ საბჭოდან აღებული პასპორტი № 5915, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—8

სერგია გრიგოლის ძე ყიფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის სათავად-აზნ. დეპუტატთა საკრებულოდან მიღებული პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 240 3—3

დაკარგულია 26 ნოემბერს დილის 6 საათზე გოლოვინის პროსპექტზე ჭავჭავაძის და დავიდოვის შესახვევების შუა ყვითელი, შავი წერტილებით ტყავის მოსასხელი („კორჟეტკა“). მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: თბილისის შესახვევი № 9 (ყოფ. კომისარიატი) ხმალაძეს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 241 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 87043—70 მან. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 287 3—1

დაკარგულია ამხენ ოგანეზიანცის სახელზე აღებული პიდადობის მოწმობა. ნოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 283 3—1

დაკარგულია პორფირე მუჭუხინის მიერ ტფილისის მილიციის სამმართველოდან აღებული პასპორტი № 3053. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 284 3—1

ნიკოლოზ პეტრეს ძე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამტრედიის სადგურზე „შინელი“ რომელშიდაც იყო საჭირო საბუთები, სხვათაშორის სტუდენტის კალენდარი 1915—16 წ. მოსკოვის აკადემიის და უნივერსიტეტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ დოკუმენტები გაგზავნონ ფოთში მე-2 ე სანაპირო რაზმის ადიუტანტის ნიკ. ლორთქიფანიძის სახელზე. 288 3—1

კავკასიის სინოდალური კონტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ოქტომბრის 25-ს იქ შეიტანა თხოვნა ბინადორა სიმონის ასულმა მაზლუმოვამ, მცხოვრებმა ს. წინწყაროში, ტფილ. მაზ. მის ქალართან ანასტასი დიმიტრის ძე მაზლუმოვთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან წინწყაროს ღვთისმშობლის ეკლესიაში 1910 წ. ოქტომბრის 31-ს. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ანასტასი მაზლუმოვი, ვალდებულია გაუცხადოს სინოდალურ კონტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 108 1—1

დაკარგულია გეორგ გრიგორის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან აღებული საინჯინრო მოწმობა № 18:8 1918 წ. 25 მარტს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს 292 3—1

დაკარგულია ართოვაზდა გიორგის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის სიმაგრეს ინტენდანტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა № 3055 1918 წ. 29 მაისს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 292 3—1

დავით ბახტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1482, აღებული 21 მკათათვეს 1919 წ. ტფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან. 298 3—1

ბარდანოვის მიწის ნაწილის რეკვიზიციის შესახებ.

5. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობისა ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. მარტის 31 გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგ. მიერ დადგენილ ტერ-პოგოსოვის ბინიდან პეტრე და მიხაილინა ალექსანდროვების გაძევების შესახებ.

6. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობისა ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. მარტის 1 გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ დადგენილ პ. ს. ლორეონოვის მიწაზის რეკვიზიციის შესახებ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ონისიმე პეტრეს ძე დავლიანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული სოფ. სხვავის საზოგ. კანცელარიიდან (ქუთაისის გუბ.) პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს 3—3

ივანე მარკელის ძე კულმისევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რუსეთის ეროვნულ საბჭოდან აღებული პასპორტი № 5915, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—8

სერგია გრიგოლის ძე ყიფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის სათავად-აზნ. დეპუტატთა საკრებულოდან მიღებული პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 240 3—3

დაკარგულია 26 ნოემბერს დილის 6 საათზე გოლოვინის პროსპექტზე ჭავჭავაძის და დავიდოვის შესახვევების შუა ყვითელი, შავი წერტილებით ტყავის მოსასხელი („კორჟეტკა“). მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: თბილისის შესახვევი № 9 (ყოფ. კომისარიატი) ხმალაძეს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 241 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 87043—70 მან. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 287 3—1

დაკარგულია ამხენ ოგანეზიანცის სახელზე აღებული პიდადობის მოწმობა. ნოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 283 3—1

დაკარგულია პორფირე მუჭუხინის მიერ ტფილისის მილიციის სამმართველოდან აღებული პასპორტი № 3053. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 284 3—1

ნიკოლოზ პეტრეს ძე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამტრედიის სადგურზე „შინელი“ რომელშიდაც იყო საჭირო საბუთები, სხვათაშორის სტუდენტის კალენდარი 1915—16 წ. მოსკოვის აკადემიის და უნივერსიტეტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ დოკუმენტები გაგზავნონ ფოთში მე-2 ე სანაპირო რაზმის ადიუტანტის ნიკ. ლორთქიფანიძის სახელზე. 288 3—1

კავკასიის სინოდალური კონტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ოქტომბრის 25-ს იქ შეიტანა თხოვნა ბინადორა სიმონის ასულმა მაზლუმოვამ, მცხოვრებმა ს. წინწყაროში, ტფილ. მაზ. მის ქალართან ანასტასი დიმიტრის ძე მაზლუმოვთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან წინწყაროს ღვთისმშობლის ეკლესიაში 1910 წ. ოქტომბრის 31-ს. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ანასტასი მაზლუმოვი, ვალდებულია გაუცხადოს სინოდალურ კონტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 108 1—1

დაკარგულია გეორგ გრიგორის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან აღებული საინჯინრო მოწმობა № 18:8 1918 წ. 25 მარტს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს 292 3—1

დაკარგულია ართოვაზდა გიორგის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის სიმაგრეს ინტენდანტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა № 3055 1918 წ. 29 მაისს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 292 3—1

დავით ბახტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1482, აღებული 21 მკათათვეს 1919 წ. ტფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან. 298 3—1

პელაგია გიორგის ასული მეტრეველი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ზემო რაჭის საარაიონო კომისარის მიერ მიცემული პასპორტი № 54. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით ბლდანის გზა კეტილი (ტუპიკი) № 17. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 273 3—3

ნინო ლეკანის ასული სიკვაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული სამეგრელოსი ოლქის საზოგადოებიდან (გორის მაზრა), პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 274 3—3

მარტიროზი ოგანესოვის ძე კოლოპოტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ბათუმის სამმართველოდან 1914 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 268 3—3

ალექსანდრე ყარსემაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სალდათების ბაზარზე სახალხო გვარდიიდან აღებული პირადობის მოწმობა 2000 მან. და სხვა საბუთები. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს. გრაფის ქუჩა ჯაფარიძის სახელოსნოში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 272 3—3

დაკარგულია ნიკოლოზ ბაბაევის ძე ბაბაევის სახელზე ჯულფა—ბაქოს საიხელდრო რკინის გზის რწმუნებულის მიერ 20.000 მან. ვალდებულობის ქაღალდი № 78/2568, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 260 3—3

გალუსტ მნაცაკანის ძე სუკიასიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 5 წლ. პასპორტი, მიღებული კარაბულახის ეჩმიაძინის მაზ., ერევნ. გუბ. სოფლის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 248 3—3

ვართან მარტიროზის ძე კოლოპოტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 199750 აღებული ტფილისის საკრებულოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 269 3—3

თიანეთის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად 1901 მუხ. სამოქ. სამ. წარმ. იწვევს გარდაცვალებული სოფელ ჩაბანოვი თიანეთის მაზრის მცხოვრებელი მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება ალბუთაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩომილ ქონებაზედ მე 1241 მუხ. სამ. კან. კრებ. მეათე ტომისა პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადაზე. 116 1—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დოხმანმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ზინაიდა ავგუსტის ასული დოხმანისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1907 წ. უკვალად დაიკარგა 1912 წ. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ზინაიდა ავგუსტის ასულის დოხმანის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადებისა დაბეჭდვისა ორის თვის განმავლობაში. 271 3—3

შალვა იაკინთეს ძე ცქიტიშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლიდან აღებული 1914 წ. „ატესტატი“ და შვიდი კლასის მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 246 3—3

პარასკევა ივანეს ასული კობიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 242 3—3

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ნიჟარაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა აღებული ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიიდან 1914 წელს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 245 3—3

მიხეილ აბრამის ძე ბადალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. ბაშკალის საკონსულოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 243 3—3

ხარლამპი ირაკლის ძე სარიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამსახურის ფურცელი (послужн. список) მიღებული ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქიდან საბუთი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 253 3—2

ბორჯომის სამმართველოს უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ ლაზარეს ძე ჩიჩანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ ოვანისა ეფიმეს ჩიჩანიძის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 144 3—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ერმილე ნიკოლოზის ძე ჯავახაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და სალდათობიდან განთავისუფლების მოწმობა, მათ შორის პასპორტი მას ჰქონია მიღებული მაღლაკის საზოგადოების მამასახლისიდან ძველი მთავრობის დროს, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 143 3—2

ბესარიონ სტეფანეს ძე მელიქაძე აცხადებს, რომ რუსეთიდან წამოსვლის დროს მან დაჰკარგა ხონის საოსტატო სემინარიიდან 3 ივნისის 1914 წ. მოწმობა № 652, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 169 3—2

გუგასიანცი სტეფანე ნავასატოვის ძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი აღებული 1908 წ. ივლისის 4 № 8288. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 268 3—2

ნაზარეთ რუსიან აცხადებს, რომ მან დაკარგა სომხეთის უნტერ-ოფიცრების სასწავლებლიდან აღებული დათხოვნის მოწმობა № 3146 ისპანიის საკონსულოდან აღებული პასპორტი ურათი № 2038. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 269 3—2

აკოპ ნაგაპეტის ძე ტერ-არუთინიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული სომეხ. ერობ. ცენტრ. ბიუროდან, ხელწერილი, მიღებული ალექსანდრა თეოდორეს ასულის რეინვალდისგან 1919 წ. 1 მაისს. 267 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 79395—32 მან., რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 262 3—3

აოსებ ლაზარეს ძე ჯლანტიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 263 3—2

იოსებ ისააკის ძე პერელმანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიცემული უკრაინელების ღენერალურ კონსულის მიერ და სამხედრო უფროსის კანცელარიიდან აღებული დროებით სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 264 3—3

დარჩო გევურქის ძე დივანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა აღნიშნული ტფილ. ნოტარ. არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1911 წ. ივლისის 29, № 2234. ქ. ტფილისის მე-7 უბანში მდებარე მამულზე, მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 249 3—3

დიმიტრი პანაიადეს ძე კარტასიდი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქ ხაზურის მილიციის უფროსის კანცელარიიდან აღებული პასპორტი ექვსი-თვით ამა 1919 წლის 21 ნოემბერს № 9981. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 265 3—3

პავლე ალექსის ძე კობახიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შორაპნის მაზრის სოფ. საზანოს საზოგადოებიდან აღებული პასპორტი 1915 წელს, პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 266 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა განცხადება ტფილისში 8 უბან. ვოდოპოდიომნის ქუჩაზედ № 2 ელისაბედ მიხეილის ასულმა პილიუგინმა, რომ მისი ქმარია იოსებ ილარიონის ძე პილიუგინი, რომელზედაც მან დაიწერა ჯვარი 1916 წ. 10 თებერვალს, უკვალოდ დაიკარგა 1917 წ. მარტში, რის გამო ელისაბედ მიხეილის ასული პილიუგინი თხოულობს მისგან განქორწინებას. ამიტომ, ყველა, ვინც კი იცის უკვალოდ დაკარგულის იოსებ ილარიონის ძის პილიუგინის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონის ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადებისა ორი ორი კვირის განმავლობაში. 282 2—2

უფასო სურსათი

ერევნის გაზეთების ცნობით ყარსის ოლქში ამ ჟამათ უფასოთ სურსათს ღებულობს 32,927 კაცი, ფულით დახმარებას 37,665 კაცი ღებულობს.

სხვა და სხვა.

◆ ამ დღეებში სტამბოლიდან ბათომში გამოსული იტალიის საფოსტო გემი ქარიშხალმა დააზიანა. გემმა გზის განგრძობა ვეღარ შეძლო. ამიტომ იტალიიდან საქართველოში ამ გემით გამოგზავნილი მორიგი ფოსტა ერთი კვირის შემდეგ ჩამოვა ბათომში.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობამ ჩაიბარა ყოფილ სასტუმრო „ბო მონდის“ ბინა სტუდენტთა საერთო ბინისთვის. ოთახები მიეცემათ სრული ათ უბინაო სტუდენტებს. დაბინავების ნებართვას იძლევა სტუდენტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

◆ მომავალ წლის თებერვალში დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა ყრილობა.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „ჯეჯილის“ № 8—9. ჟურნალში მოთავსებულია შინაარსიანი საბავშვო ლექსები, მოთხრობები და სურათები.

◆ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ მორიგ (13) ნომერი გამოვიდა. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები (შიო მღვიმელის და სხ.) მოთხრობა—წერილები, რომანი „განახლებული სიცოცხლე“, ახალი პიესა კ. გერგესელისა „თავისუფლების რიჟრაჟზე“, წვრილი ამბები და სხ. ნომერი შემკულია მრავალი სურათებით.

◆ სოჭის ქართველობამ სათანადო უწყების წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სოჭის გიმნაზიებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულო საგნად იქნეს შემოღებული.

◆ რადგანაც ბოლო დროს გახშირდა ისეთი კლუბების გახსნა, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ ქალაქის თამაშის გაძლიერება ტფილისის კლუბების კავშირმა გადასწყვიტა ზომები მიიღოს ასეთი კლუბების წინააღმდეგ.

ᲨᲔᲡᲢᲕᲠᲔᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

28 ნოემბერს 1919 წ. კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის კრება, რომელმაც დადგინა: 1. დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის სხდომებზედ თავის წარმომადგენლათ დანიშნა დ. არაყიშვილი და კ. ფოცხვერაშვილი.

2. ქართულ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლაში გუნდის მოსაწყობად დანიშნა გ. სვანიძე.

3. სამუსიკო ალბომის შედგენა დაეკალა ი. კარგარეთელს.

მიხეტიალე მუსიკოს ილიკო ქურხულის საღამო.

ხუთშაბათს, 4 დეკემბერს ვერის მუშათა კლუბში (ოლლას ქუჩა, სახლი გვარდიის შტაბისა) გიორგი ქუჩიშვილის და ვარლამ რუხაძის მონაწილეობით შესდგება ილიკო ქურხულის საღამო.

საქართველოს სენატი.

სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებაში 1919 წ. დეკემბრის 10 ს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობისა ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. თებერვლის 8 გადაწყვეტილებაზე ტფილ. ქალ. გამგ. მიერ დადგენილ პეტროგრადის კომერციულ ბანკის სახლში ბინის მიცემის შესახებ ქალაქის გამგეობის საჭიროებისათვის.

2. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობისა ტფილ. ოლქის სასამ. 1918 წლ. თებერვლის 26 გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალ. გამგ. მიერ დადგენილ ილია შებსილბერის ძის ზუტეს სახლში ნოე გურევინისათვის ბინის მიცემის შესახებ.

3. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობისა ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. თებერვლის 17 გადაწყვეტილებაზე ტფილ ქალ. გამგ. მიერ დადგენილ სიხარულიძის სახლში ბინის რეკვიზიციის შესახებ ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს საჭიროებისათვის.

4. საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობისა ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. მაისის 16 გადაწყვეტილებაზე ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ დადგენილ 1918 წ. თებერვლის 23 ლეონტი ევანგულოვის და ამ-

სტამბა საქართველოს მთავრობის.

რედაქტორის მოვალ. დრ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი.